**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 **სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


ქართული თეატრი

კვირას, 15 დეკემბერს,

ბ-ნ **ყიფიანის და სვიმონიძის** მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

უკანასკნელად ამ სეზონში

## სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. თავ. დ. გ. ერისთავისა

ახალის მოწყობილობით, ტანისამოსებით და სხვ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ 7 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ახალი ოპერეტტი ოდრანისა

„ნატვრის თვალი“.

რეჟისორი ნ. ავალიშვილი. ადმინისტრატორი ვალ. გუნია.


---

## ახალი ამბავი

*** შინაგან საქმეთა მინისტრის უქვეშევრდომილესს მოხსენებას შესახებ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიერ მათის უდიდებულესობის ქორწინების 25 წლის დღესასწაულის გამო ერთგულობის გრძნობათა გამოცხადებისა, მილოცვისა და ადრესის მირთმევისა, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საკუთარის ხელით წააწერა:

„გულითადად ვმადლობთ“

*** გუშინ, 13 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან დანიშნული იყო საჯარო გასასყიდად ქალაქის მამულები, რომელთ პატრონებს არ შეუტანიათ თავნსა და სარგებელში დაწესებული ფული. სულ ათი მამული მივიდა გასყიდვამდე, ამათში ექვსი გაიყიდა და ოთხი მეორე გასყიდვისათვის დარჩა. დღეს, 14 დეკემბერს, სოფლის მამულების საჯაროდ გასყიდვაა დანიშნული.

*** იმდენა ხალხმა მოიწადინა დამშეულთა სასარგებლოდ გამოცემულ სალატარო ბილეთებისა ყიდვა, რომ ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელია. ამო გამო, ამბობენ, ჯერ იმათ მიეცემათ სალატარიო ბილეთები, ვინც მათ სასყიდლად ფული პირდაპირ სახელმწიფო ბანკში შეიტანესო.

*** ქართველთა წიგნების გამომცემელმა საზოგადოებამ უკვე დაიწყო ბეჭდვა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა.

*** ამავე საზოგადოებაში ეხლახან ჩაეწერა წევრად ერთი შეძლებული ქართველთაგანი, რომელმაც ერთბაშად 130 პაი იყიდა (თითო პაი 50 მ.) საზოგადოებას გასაყიდი მხოლოდ 31 პაი-ღა აქვს.

*** 21 დეკემბერს „ტფილისის სობრანიეში“ გაიმართება კონცერტი სასარგებლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ მისწერა ცხენის რკინის გზის საზოგადოებას, დიდუბიდგან ნავთლუღამდეც გაიყვანე ერთი გზაო და თუ 6 თთვის განმავლობაში ვერ შეასრულებ ამასა, მაშინ სხვა საზოგადოებას მივმართავთო. ცხენის რკინის გზის საზოგადოებამ უპასუხა, ნავთლუღამდე დიდუბიდგან 6 გზა გამოდის და მე პირობის ძალით 6 თთვის განმავლობაში მხოლოდ ერთს გავმართავ—დიდუბიდგან რკინის გზის სადგურამდეო.

*** ამ დღეებში ტფილისის სამოსამართლო პალატამ საბრალმდებელო ოქმი გაუგზავნა ფოთის პოლიციმეისტერს, ვოლობუევს, რომელსაც ჰბრალდება ერთის ფოთელის მცხოვრების შეურაცხყოფა.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას ბ-ნმა როიტმა წინადადება მისცა და მორიგებას სთხოვს, რომ ტფილისში გამოყვანილ იქმნას ჟინვალის წყაროებიდგან წყალი ახალის მილებით. როიტის ანგარიშით, ეს ახალი მილი დღეში ერთს მილიონს ვედრო წყალს მისცემს ტფილისსა.

*** 1—8 დეკემბერს ავად გახდა ყვავილით ტფილისში 5 კაცი, გარდაიცვალა მათგან ერთი; ყელჭირვებით იმავე დროს განმავლობაში ავად გახდა 10 კაცი, რომელთაგან გარდაიცვალა 6, ხოლო ჩუტყვავილით ავად გახდა და გარდაიცვალა ერთი.

*** ამ დღეებში ტფილისის საგუბერნიო სამმართველოში საჯარო ვაჭრობა იყო ორის ქვითკირის ხიდის გაკეთების იჯარით გასაცემად. ერთი ხიდი უნდა გაკეთდეს კახეთის გზაზე, სოფელ ვეჯინის მახლობლად, ხოლო მეორე სოფელ ჩუმლაყის მახლობლად. სულ სამმა იჯარადარმა მიიღო მონაწილეობა ვაჭრობაში. ბ-ნმა პ—მ ითხოვა 1,940 მ. და ბეი წარადგინა ნაღდი ფული. მეორე იჯარადარმა ბ-ნმა ო—ვმა ფასი ითხოვა 1899 მან. და სთქვა, ბედ ის ფული მიიღეთ, საგუბერნიო მმართველობას რომ ჩემი მმართებსო, თუმცა ამ მართებულობის საბუთი-კი არა წარუდგენია-რა. მესამე იჯარადარმა ფასი ითხოვა 1,799 მან. და ბედ წარადგინა „აღმასრულებელი ფურცელი“ 1,300 მანეთისა, რომელიც საგუბერნიო სამმართველოს მმართებია იმისი. რა-კი საქმე ამგვარად გართულდა, იჯარის გადაწყვეტა შემდეგისთვის გადასდეს.

*** სასტუმროებისა, ტრაქტირებისა და სხვა სასმელების დუქნების პატრონებს შორის ქალაქის სასარგებლოდ საშუალო აქციზის გაწერის დროს, წლეულ, სხვათა შორის, შემდეგს ქართველს მოვაჭრეებსაც შეეწერათ ხარჯი: სიმონ მელისკაურს, მეზურნეთოვის სახლში მოვაჭრეს—100 მ., ვლადიმერ ხუნდაძეს, მარკოზოვის სახ... 70 მ., სტეფანე ჯიოშვილს, სარაჯოვის სახ... 40 მ., იაგორა მამინაიშვილს, მუხრანსკის სახ.—190 მ., დიმიტრი ჯაფარიძეს საეკკლესიო სახ... 100 მ., მიხეილ წვერიძეს, ალექსანდროვის სახ.—30 მ., მიხეილ სანიკიძეს, აკოფოვის სახ... 30 მ., გიორგი ქველიძეს, აკოფოვის სახ... 60 მ., სამსონ ხუნდაძეს, რეიტერის სახლში—40 მ., თედო ლაშქაროვს, არჯევანიძის სახ... 60 მ., თევდორე ხუნდაძეს ლამბაროვის სახ... 40 მ., გრიგოლ ბალტურიას, როტინოვის სახ... 60 მ., თეიმურაზ ქუთევაძეს, ზუბალოვის სახ.—150 მ., სტეფანე მარგველიშვილს, მარტიროზოვის სახ. —350 მ., გიორგი სხირტლაძეს, ბანკის სახ.—170 მ., ივანე მჭედლიშვილს—70 მ., დარისპან კერესელიძეს, თამაშევის სახ... 60 მ., ივანე ლომთაძეს კერესელოვის სახ.—60 მ., საბა თაფუროვს, ვართანოვის სახ.—80 მ., ვასილ თურქაძეს, ივანოვის სახ.—80 მ., ნესტორ ჯაფარაძეს, სტრახოვის სახ.—100 მ., მარიამ ჭავჭავაძეს, არღუთინსკის სახ.—30 მ., მოსე გაბრიჩიძეს, ისრაელოვის სახ.—70 მ., ანდრია მჭედლიძეს, საკუთარს სახ.—80 მ., თავადს ლუარსაბ ნიჟარაძეს, ემინოვის სახ.—80 მ.

*** გუშინ, ამ თთვის 13, ტფილისში რუსეთიდგან ფოსტა არ მოსულა, რადგანაც კავკავის გზაზე, გუდაურსა და კობის სადგურს შუა, დიდი ბუქი ყოფილა ამ თთვის 12 და რამდენსამე ალაგას თოვლის ზვავიც ჩამოწოლილა. გუშინ ინჟინერები დეპეშით იუწყებოდნენ, რომ ზვავები ალაგ-ალაგ გავასუფთავეთ და მგზავრები მარხილებით დადიანო.

*** ამ თთვის 12 კავკასიის რკინის გზაზედ სადგურს ბეჟათუბანსა და წიფას შუა, ნაშუადღევის ხუთს საათზე, სამუშავო მატარებელი რკინის გზის ლიანდაგიდგან გადმოვარდა. რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა და ერთი მუშა კაციც ქვეშ მოჰყვა და გაისრისა. მატარებლის გადმოვარდნის მიზეზი ჯერ არ იციან.

*** ტფილისის საქალაქო სამკურნალოს ზედამხედველად ქალაქის მმართველობამ პროვიზორი ნ. ე—ძე იოანისიანი დანიშნა განსვენებულის იუზბაშევის მოადგილედ.

*** ტარიელ გოცირიძე, რომელიც ამას წინად ფრანგების ქუჩაზე გაძარცვეს და მძიმედ დასჭრეს, გუშინ-წინ გარდაიცვალა ქალაქის ქსენონში. სიკვდილის წინად განსვენებულს სასამართლოს გამომძიებლისთვის ეთქვა, რომ ვინც დამჭრა, ვიცნობ და გვარიც ვიციო და თუ მოვრჩი, მაშინ შეგატყობინებთო; თუ მოვკვდი, გთხოვთ, უბრალოდ ჩემს მკვლელებს ძებნას ნუ დაუწყებთო. ამასთანავე პოლიცამ აღმოაჩინა, რომ იმ დღეს, როდესაც დასჭრეს, გოცირიძეს თავის ყაბახანა გაეყიდნა სამოცდა-ათ თუმნად და იმ საღამოზე თავის ამხანაგებთან ყოფილიყო საქეიფოდ კუკიის ერთს მიკიტანხანაში, სადაც თორმეტ საათამდე დარჩენილიყო. სად ყოფილა შემდეგ ღამის სამ საათამდის, არ იციან, მხოლოდ სამს საათზე ეტლით მოსულა შინ და როდესაც ეტლი გაუსტუმრებია მაშინ დასცემიან თავს ავაზაკნი.

*** გუშინდლიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლების სიარული შეიცვალა. წუხელ, ამ თთვის 13, ბათუმიდამ მოსული საფოსტ-დასახალხო მატარებელი ტფილისში დარჩა და ბაქოში არ წასულა. საფოსტო მატარებელი ბაქოში დღეს, ამ თთვის 14, ნაშუადღევის შემდეგ გაემგზავრება. აქამდე ტფილისში რუსეთიდგან (ბათუმის მხრიდგან) ფოსტა ღამე მოდიოდა ხოლმე, ბაქო-ერევნისა და განჯიდგან-კი დილით, ე. ი. დღეში ორი ფოსტა მოდიოდა. ეხლა-კი, რაც საფოსტო მატარებლების სიარული შესცვალეს, ფოსტა დღეში ოთხჯერ მოდის: რუსეთიდამ ღამე-ღამე ბორჩალოს მაზრიდგან და მანგლისიდგამ დილაობით, ბათუმის მხრიდგან შუადღისას, ბაქოს მხრიდგან—საღამოს.

*** გორი: 7 ამ თთვეს ატენის რკინის გზაზედ მატარებლიდგან გადმოვარდა ატენიდგან მომავალი პავლე მიქაძე და გაისრისა.

*** ოზურგეთიდგან დეპეშით აუწყებენ გაზეთს „ნოვ. ობ“-ეს, ბოქაულმა დუმბაძემ და კუტელიამ შეიპყრეს ცნობილი გაქცეული ავაზაკები ასკურავა და თარანოვიო.

*** პეტერბურგიდამ სწერენ გაზეთს „მშაკს“ „სომეხთა ეკკლესიების სამზრუნველომ მიჰმართა „წითელის ჯვრის საზოგადოებას“ შემდეგის წერილით: სამზურუნველომ დაადგინა, რომ: 1) წლევანდელს ხარჯს გადარჩენილის ფულიდგან 1000 მანათი გადაეცეს „წითელის ჯვრის საზოგადოებას“ დამშეულთა სასარგებლოდ; 2) ამა აზრითვე გაიმართეს ხელის მოწერა სიმშილის დასრულებამდე. ამ წერილზედ „წითელის ჯვრის საზოგადოებამ“ უპასუხა, რომ მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცამ კეთილ ინება და ბრძანა, რომ სომეხთა ეკკლესიების პეტერბურგის სამზრუნველოს მადლობა გამოეცხადოს დამშეულთა თანაგრძნობისათვის.

---

## სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა კრების გამო

(წერილი სამეგრელოდამ)

„ავს ვარსკლავზე დაბადებულა სამეგრელოს თავად-აზნაურთა ღირსების გარჩევის საქმეო“, ამბობდენ ზოგიერთნი 25-ს ოქტომბერს საზნაურო სკოლის დარბაზში, დაბა ძველს სენაკს, სადაც ამ დღეს, ქუთაისის გუბერნატორის ნება-რთვით, სენაკის თავად-აზნაურთ კრება ჰქონდათ. „არა უშავს-რა, ქალი ბერდებოდეს, ბედს ელოდესო“, გაიძახოდნენ სხვები, „იქნება ღმერთმა ბრძანოს ამ საქმის დაძველების, ღონემიხდილობის და დაბერების დროს ჩვენის წოდების გარჩევის საქმე სასიამოვნოდ და სასარგებლოდ გადასწყდესო“... სიბერეში შესულ გასათხოვარის ქალის ანდაზა რამდენად შეეფერება ჩვენს თავად-აზნაურთა წოდების საქმეს, რა მოგახსენოთ და ავს ვარსკვლავზე დაწყებული-კი რომ არის, ამას დიდი გამოცნობა არ უნდა.

მაგრამ ან კი რა ხელ წამოსაკრავია ამ შემთხვევაში ავი ვარსკვლავი და რა შუაში უნდა იყოს აქ ბედის წერა, როცა ჩვეულებად გარდაგვექ-

ცა ის ავი ზნე, რომ კარგს წეს-წყობილებას და სასარგებლო კანონებს არაქელად ვეკიდებით, წიხლსა ვკრავთ და მოხმარებას ვერ ვახერხებთ და ვერ ვახერხებთ უგუნურებისა და შეუგნებლობის გამო-კი არა, ისე, სრულიად უბრალო მიზეზების წყალობით: ერთი მეორის მიუყოლელობისა, ერთი მეორის ჟინისა და მეტოქეობის გამო. ასეთის ჩვენის ხასიათის სამაგალითო გარემოება აშკარად გამოიკვანძა სამეგრელოს მაღალ წოდების გარჩევის საქმეში. აგერ ორმოც-და-ათი წელიწადი იქმნება მას აქედ, რაც ეგ საქმე წაჯიქ-უკუჯიქობასა თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში და წინ წასდგამს ბიჯს, თუ უკან, ყოველთვის და ყოველს ფეხის გადადგმაზე ჩვენს ავს კერძოობას თუ აშკარავებს, თორემ კაი რამ ჩვენთვის ჯერ ამას არა მოუტანია-რა. თორემ აბა რას უნდა მივაწეროთ, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის თავად-აზნაურთა გასარსევმა ჩინებულმა და მარტივად შედგენილმა წესმა ვერ მოიკიდა ფეხი აქაურს ნიადაგზე? ხომ ამ ქვეყნისათვისაც იგივე უმაღლესად შეწყნარებული და დაკანონებული წესდებულება იყო, როგორიც იმერეთისა და ქართლ-კახეთისათვის. ამ წესდებულების კვალობაზე შეუდგა მთავრობა სამეგრელოს თავად-აზნაურთა გარჩევის საქმესაც. დაინიშნენ გამრჩევად ისეთი კაცები, რომელთაც, თუ-კი სინიდისს არ გადუხვევდნენ, კარგად იცოდნენ, ვინ იყო თავადი და ვინ აზნაური. ეს კომისია შეუდგა თავისს საქმეს და ის ის იყო, რომ გათავებას აპირებდა გვაროვნობის საქმისას, გამოჩნდნენ ისეთი გარეშე და უპირო პირები, რომელთაც სჯულად და კანონად ჰქონდათ მიღებული წყლის ამღვრევა, რომ ამღვრეულში თვისი საკბილო ადვილად ეშოვნათ. დაიწყეს კიდევაც წყლის მღვრევა, თუმცა თევზის დაჭერის მაგიერ თვითვე მოჰყვენ თვისსავე ბეზღობისა და დანოსების ბადეში. ამათმა საჩივრებმა, ბეზღმა და „დანოსებმა“ აიძულა მთავრობა, ეჭვის თვალით შეეხედა გამრჩევის კომისიის მოქმედებისათვის. ან-კი როგორ საეჭო არ იყო, ვის არ აღეძვრებოდა ეჭვი, როცა მაბეზღარნი და მომჩივანნი დაჟინებით ამტკიცებდნენ და ყოველს გზა-ბოძალზე გაიძახოდნენ: ბრუნდსა და მართალს ყველას თავადად და აზნაურად ცნობილობს კომისიაო და, თუ ამდენი გააზნაურეს, ქვეყანა დაიღუპებაო. ამ უსაფუძვლო წუწუნს ის შედეგი მოჰყვა, რომ მთავრობის წარმომადგენელნიც ძალა-უნებურად დაუკვირდნენ ამ საქმეს, აქაურის თავად-აზნაურის გარემოება რუსეთისას შეუდარეს და ამ გასაკვირველს დასკვნას დაადგნენ: როგორ შეიძლება სამს მაზრაში იმდენი თავადი და აზნაური იყოს, რამდენიც რუსეთის ზოგიერთს დიდს გუბერნიაშიაც არ მოიძებნებაო. ამის მიზეზით ხელმეორედ შემასწორებელი კომისია დაინიშნა მთავრობის განკარგულებით, კომისიამ საქმის ახალს მიმართულებას შეუფარდა პროგრამა თავის მოქმედებისა: მოსდგა და ზოგს გვარს ყარანდაში გაუსვა ქვეშ, ზოგს ეჭვის კანი დაკრა, ზოგი მთლად ამოშალა პირველის სიიდამ, ზოგი უცნობთაგანი იცნა და აი, აქ გაესკვნა აქაურ აზნაურობის საქმეს უკუღმა სვლის საძირკველი. ასტყდა ვაი-ვაგლახი, დავი-დარაბა, აყალ-მაყალი და საქმე იქამდე გამწვავდა, რომ პირველისა და მეორე კომისიის ნაწარმოები სიები კანცელარიის არხივებში მიაბრძანეს და სამეგრელოს აზნაურთ თავი საძებრად შეექნათ. ბევრის მოთვლა საჭირო არ არის, აღვნიშნოთ მხოლოდ ორიოდე მაგალითი, ცხადმყოფელი იმ გაჭირვებისა, რომელშიაც ჩავარდნენ ერთის მხრით მსაჯულნი და მზრუნველნი მთელის ერთის სამთავროისა და მეორეს მხრით ყველა ისინი, ვისაც აზნაურობის და თავადობის შოვნის სალღრღელი ჰქონდათ აშლილი. როცა მსაჯულ-გამომძიებელი სისხლის სამართალში მიცემას დაუპირებდა რომელსამე მოაზნაურე დამნაშავეს, უთუოდ [illegible] ვინაობაც უნდა სცოდნოდათ, უნდა სცოდნოდათ, გლეხი იყო, თუ აზნაური, მოწმობას თხოულობდნენ სათანადო დაწესებულებათაგან და ესენიც ასეთს მოწმობას იძლეოდნენ: Такой то признанъ въ дворянскомъ достоинствѣ первою коммисіею, отвергнутъ второю, или принятъ второю, не значится въ спискѣ первой, но принадлежитъ привилегированному сословію. მოდი და გაიგე, მსაჯულო, რამდენი სასჯელი უნდა დასდო ესეთს ბრალ-დებულს აზნაურსა, თუ გლეხსა?! ხშირად ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ მრავალი გულით მოაზნაურე დამნაშავე დროებით გლეხის ტყავში გაეხვეოდა და საზნაურო მკაცრს სასჯელს თავიდამ აიცილებდა ხოლმე.

ამავე გაურჩევლობის გამო დიდი ზარალი მოსდიოდა მთელს მოაზნაურე წოდებას. მოაზნაურეს სახელმწიფო სამსახური, ჩინი და ნამსახურობა ისე არ ეთვლებოდა, როგორც იმერეთის ცნობილს აზნაურს. საშინაო საქმეების კარგად წარმართვას ჩვენი ბუნებრივი ხასიათიც გვიშლის და წოდების არევ-დარევა ხომ დამწვარზედ მდუღარეს ასხამდა. ვერც ერთს საზნაურო სასიკეთო საქმეს ერთგულებით და თანხმობით ვერ შეუდგებოდნენ ხოლმე, რადგანაც ერთი მეორეს მუდამ ეჭვის თვალით უცქეროდა. დიდს გვარს არ ეპაშნიკებოდა, როცა მასთან საეჭო გვარი კომისიათა სიის წყალობით სრულს საზნაურო ხმას იღებდა კრებასა და საზოგადოებაში და ასე ამგვარად წოდების არევამ საშინაო საქმეების არევა და დაქვეითებაც გამოიწვია.

1889 წელიწადი სწორედ რომ ახალი ხანა შეიქმნა სამეგრელოს თავად-აზნაურთა ყოფა-ცხოვრებისათვის. მრავალის თხოვნის, მუდარის და ვედრების შემდეგ მას ეღირსა ახალი წესი თავად-აზნაურთა წოდებრივის ღირსების გარჩევისა. ამ დღიდამ დადგა სამეგრელოს სამთავროში დღე და ღამე საბუთობისა. მაგრამ თქვენს მტერს ისეთი მეხი, როგორიც ამ საბუთობამ დასცა აქაურს თავად-აზნაურს და სწორედ ამ მეხმა აგრძნობინა, რამდენად მავნებელი ყოფილან ისინი, გარეშენი იყვნენ, თუ შინაურნი, ვისის წყალობითაც ეგ საბუთობა და მეტრიჩესკობა მოეხვია თავზე ამ დაუბოლოვებელს საქმეს. ახლა-კი ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რამდენად მარტივი და სამართლიანი იყო პირველი წესი თავად-აზნაურთა გარჩევისა, მაგრამ რაღა დროს! სიკვდილს უკან სინანული საშოთხის კარს არავის გაუღებს. მხოლოდ სამწუხარო ისაა, რომ ძლიერ მრავალნი აღმოჩნდებიან ისეთნი, რომელთაც საბუთი არ ექმნებათ და თავადობა და აზნაურობა-კი საუკუნოების განმავლობაში ჰქონებიათ. ან-კი რა საბუთის ქონებას ისაჭიროებდა ისეთი გვარი, რომელიც ცალს არ უდებდა ზოგიერთს მთავრებს! წინააღმდეგ ამისა, საბუთებით შეიარაღებულნი იქმნენ ეგებ ისეთები, რომელთაც საეჭვოდ მიაჩნდა და ამ ეჭვის წყალობით გამოიწყვეს კიდეც საქმეები. ვინ იცის, რამდენი თავ-აღებული თავადი და აზნაური იტყვის: ნეტავი, მეც საეჭვოდ მქონოდა საქმე, რომ დროზე მომეწყო ხელი და საბუთობას მზად შევხდომოდიო. ასეა, თუ ისე, დღეს ყველას გამასწორებელი და ლაღას მომსმელი საბუთი და მეტრიკაა. ვისაც ესენი მოეპოება, შევალს სასუფეველსა აზნაურობისასა, ვისაც არა და—სატანჯველსა გლეხისასა.

მეორე სამწუხარო ამბავი ისაა, რომ ვაი თუ ვინმემ ყურადღება მიაქციოს იმ ცრუ აზრს, ვითომ სამეგრელოში, რუსეთთან შედარებით ამდენი თავად-აზნაური არ უნდა იყოსო. რატომ ვითომ? საფუძვლიანად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომელიც ერთმა ორატორმა წარმოსთქვა ზემოხსენებულს კრებაზე: ჩვენში თუ ბევრი აზნაურია, ამას ისტორია ჰყავს მოწმედაც და დამბადებლადაცო: სამეგრელო განაპირი ქვეყანა იყო საქართველოსი, მუდამ ბრძოლის ველად იყო ეს კუთხე და აქაურს მთავრებს რით უნდა მოედგათ ფეხი მფლობელობისა, თუ არ თავად-აზნაურთა სიმრა[illegible] [illegible], თავად-აზნა[illegible], რომელნიც ჯიხურებივით გაწკაპულნი იყვნენ საზღვრებზე და „ცეფის“ ყარაულივით თავს ადგნენ ქვეყანასაო. დიაღ, რომ ასე იყო. აქაური თავად-აზნაურობა სწორედ იგივე იყო, როგორიც რუსეთის ძველის დროის მფლობელთა დრუჟინა, რომელმაც შემდეგ ხანებში შეადგინა რუსეთის აზნაურობა.

ახლა ისტორიას თავი დავანებოთ და აღვნიშნოთ ის, თუ რა საშვალებას ხმარობს თავად-აზნაურობა, რომ დროზე შეუდგეს თავის ღირსების ძებნის საქმეს. კრების დღეს ცუდმა ტაროსმა ბევრს მოუშალა მოსვლა, მაგრამ ვინც მოვიდა, ისიც საკმაოდ ჩასთვალეს, რომ კრება კანონიერად აღიარებული-იყო. წინამძღოლმა, თავადმა ივანე ქლიზბარის ძემ კრების დაწყებისთანავე მოკლედ გარდასცა, რა და რა საგნებზე უნდა ჰქონოდა მსჯელობა კრებას. მერმე მეტისმეტად დაწვრილებით, ლოღიკით და დასაბუთებით განმარტა თ. ნ. ტ. დადიანმა ყოველი კერძოობა, რაც

---

# ფელეტონი

## ღირსეული ძეგლი

(ვუძღვნი არ. წითლიძეს)

V

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 265)

გაზაფხული იდგა. ზამთრის ძილისაგან თავ-დაღწეული ბუნება თანდა-თან ცოცხლდებოდა; დღითი-დღე ფერსა და იერში მოდიოდა. პატარძალივით ირთვებოდა და იკაზმებოდა. ასაკში მოსასვლელ ქალსავით კეკლუცდებოდა და ლამაზდებოდა. მომხიბლველ მიჯნურსავით ეშხობდა და ნაზობდა. ზურმუხტად ამწვანებული ტყე-ველი, ათასნაირად აყვავებულ-აფერადებული ხეხილები, მოკრიალებულ-მოკამკამებული ცა, სიცოცხლითა და სიფხიზლით სავსე დედამიწა, ფრინველთ საამური ჭიკ-ჭიკ-გალობა, ყნოსვის დამატკბობელი სუნი იისა და ვარდისა თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდა, აბა რომელი უფრო მოვხიბლავთ, რომელი უფრო გავიტაცებთ სიმშვენიერით და მოხდენილობით, სიტურფითა და სინარნარით ადამიანსაო. მართლაც და ადამიანმა—ამ ყოვლისავე ქმნილების გვირგვინმა—არ იცოდა, რა ექმნა, როცა ყოველს ნაბიჯზე გონების მიმტაცსა და გულის სასალბუნო სურათსა ჰხედავდა.

დილის შვიდი საათი არც-კი იქნებოდა, რომ სოფლის სარგის სკოლის შეგირდებს სკოლის ეზოში მოეყარათ თავი და ფუს-ფუსებდნენ. ზოგი წიგნს კითხულობდა, ზოგი ამხანაგს ეკინკლავებოდა, ზოგი თამაშობდა, ზოგი მღეროდა და ზოგიც იმას ცდილობდა, რომ ყველა დანარჩენთათვის ხელი შეეშალა და ამ აზრით ხან წიგნის მკითხველთა წრეში გაჩნდებოდა, ხან მოთამაშეთა დასში ჩაერევოდა, ხან მომღერალთა გუნდს მიუხდებოდა და ყოველგან ერთს დავიდარაბას ასტეხდა. ამის გამო სკოლის არე-მარეს ერთმანეთში არეული წიგნის კითხვისა, სიმღერისა, ყვირილისა და სირბილის ხმა აყრუებდა.

— მასწავლებელი მოდის, მასწავლებელი მოდისო! უცებ აქედ-იქიდგან დაიძახეს. ამ დაძახილზე შეგირდთა შორის სიჩუმე ჩამოვარდა. გავიდა რამდენიმე წამი და თვით მასწავლებელიც გამოჩნდა. ის ზანტად, აუჩქარებლად და მდუმარებით მოდიოდა. იმისს გამხდარსა და მოწყენილს სახეს, შეჭმუხვნილს შუბლს და ცრემლ-მორეულს თვალებს დიდი სულიერი აღელვება, დიდი განსაცდელი და ჭაპან-წყვეტა ეტყობოდა. ეტყობოდა, რომ გაზაფხულის მშვენიერება იმისს მრავალს-ტანჯულს სულს ვერაფერს მალამოს სცხებდა, ეტყობოდა, რომ იმისს სიცოცხლეში ბუნებას ბევრი ამისთანა გაზაფხული ახსოვდა, ხოლო თითონ მას თავის სიცოცხლის გაზაფხული ერთხელაც არ ენახა. გიორგის ის-კი არ აწუხებდა და აწვალებდა, რომ თავისი სიცოცხლე, თავისი ჯანი, თავისი ზნეობრივი და გონებრივი ძალა-ღონე სკოლას შესწირა, სოფლის მასწავლებლობას მოახმარა; არამედ იქვი იმისა, ვაი თუ ამდენის წვა-დაგვითა და ვაი-ვაგლახით შედარებით ცოტა სარგებლობა მოვუტანე ერსა და ქვეყანასაო. ამ ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც ცოლის გულ-გრილობის ამბავი მოიწელა, ეს იყო იმისი მაწუხებელი და მადარდებელი სენი, თუმცა, [illegible]ორც ვიცით, სხვა გვარის სენისაგანაც არ ყოფილა თავისუფალი.

დღეს უკანასკნელად მოვიდა სკოლაში და ამიტომ უფრო იყო გულდაწყვეტილი. გუშინ საღამოს დირექტორისაგან ქაღალდი მიიღო, რომ მასწავლებლობას თავი უნდა დაანებოს, რადგანაც ადგილობრივს მაზრის უფროსს საეჭო ყოფა-ქცევის კაცად დაუსახიხარო.

სიმართლე რომ სთქვას კაცმაო, ფიქრობდა გიორგი, საქმის ერთგულება მოითხოვდა, მე თითონ დამენებებინა თავი მასწავლებლობისათვის, ჯანი მე აღარა მაქვს და ღონე, რომ ამ საქმის ღირსეული სამსახური შემძლებოდა. მარტო სიყვარულით რა გათენდება. სკოლისათვის დიდად უმჯობესია ჩემი დათხოვნა. ვისმე სიცოცხლითა და მუყაითობით სავსესა და აღუღებულს ახალგაზდას დანიშნენ ჩემს ალაგას. მე ხომ ჩემი სიცოცხლე ამ საქმის საძირკვლილს ჩაყრას შევსწირე! იმანაც თავისი სიცოცხლე კედლების აშენებას მოახმაროს, მესამემ დაჰხუროს ეს შენობა, რომ დარ-ავდრისაგან უზრუნველ ყოფილ იქმნას, მეოთხემ მოაწყოს და ეგრე მორთულ-მოწყობილი მეხუთეს გადასცეს. თუ ეს ასე იქმნა, თუ ჩემგან ჩაყრილი სარძიკველი არ დალპა და იმაზე კედლები და შენობა ააგეს, მე მეტი არა მინდა-რა, ნეტარის ღიმილით გავეყრები ამ ქვეყანას და პირ-ნათლად შევხვდები იმას. მაგრამ... რაღა მაგრამ! ჯერ ერთი რომ ჩვენის ახალგაზდების იმედი არა მაქვს, უგზო-უკვლოდ იზრდებიან; და მეორეც ისა, რომ რაღა მაშინ დამსახეს საეჭვ-ყოფა-ქცევის კაცად, როცა ამ ქვეყნიდგან ბარგ - აკრული ვიყავი. უეჭველია, ვიღაც გზა დაკარგულმა და შესაბრალისმა ადამიანმა მაზრის უფროსთან დამაბეზღა. მერმე ვინ უნდა გავამტყუნოთ, მაბეზღარი და ცილის-მწამებელი, თუ ის, ვინც ბეზღობას უჯერებს და ცილის-წამებას ყურს უგდებს!.. რაც უნდა, ისა სთქვან მე აღარავითარის საეჭო საქმის ჩადენა აღარ შემიძლიან. რამდენიც შევიძელი და მოვახერხე, ვიშრომე და აწ ჩემი დღენი დათვლილია, რაც უნდათ, ის დამიძახონ, თუნდა ავაზაკის სახელითაც მომნათლონ! ხომ ვიცი, ამ ქვეყნად კმაყოფილებას ვერ ვიშოვი.

ერთის საათის უკან გიორგი სკოლიდგან გამობრუნდა. ის უწინდებურად აღელვებული და გრძნობა-გონება აფორიაქებული იყო. ისევ ისე ზანტად, მდუმარებით და ცრემლ-მორეული მიდიოდა სახლისაკენ, სადაც უნდა გაეტარებინა უკანასკნელი დღენი თავისის ძაფზე დაკიდული სიცოცხლისა.

—

სარგის ეკკლესია გზის პირად არის აშენებული ერთს მაღალს, ნაირ-ნაირის ხეებითა და ყვავილებით დამშვენებულს კვერნაკზე. ეკკლესიის გალავანი იგივე სასაფლაოა ამ სოფლისა. თუ ოდესმე ამ ეკკლესიის სიახლოვეს გავლა მოგიხდათ, უეჭველია, თქვენს ყურადღებას ერიი ვარდითა და სხვა ყვავილებით შემკული სასაფლაოს ძეგლი მიიქცევს; ძეგლზედ გიორგის სახე მარმარილოს ქვითაა გამოქანდაკებული. ძეგლის წინა მხარეს ოქროს ვარაყიანის ასოებით შემდეგი აწერია:

> არა, არ ვუქებ ვაჟკაცსა
> კაცთა მუსვრას და ომსაო!..
> ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
> ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;
> ვინცა არ შეუდრკა რაკალსა
> ხშირად მართლისთვის მწუხრომსაო;
> ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
> და პირში უდგა ლომსაო.

ძეგლის უკანა მხარე ამას ამოიკითხავთ: ჩვენის შვილების აღმზრდელსა და მასწავლებელს, ჩვენს ქომაგსა და მოსარჩლეს გიორგი მზაშვილს. სარგის გლეხ კაცობისაგან.

დათიკო ვერმიცანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესს საგნებს შეეხებოდა. ამავე საგნების შესახებ ილაპარაკა ბ-ნმა ი. მეუნარგიამ. საკმაო ბაასის შემდეგ დაადგინეს: 1) რომ სთხოვონ საქართველოს ექსარხოსს, რათა მოუმატოს შტატი სინოდის კანტორის იმ განყოფილებას, რომელსაც მეტრიჩესკების წარმოება აქვს მინდობილი და თუ ექსარხოსი დასთანხმდება, აზნაურობა ამ მომატებულის შრომის ხარჯად წელიწადში 1200 მანეთს იკისრებს; 2) სენაკის მაზრის აზნაურთა დეპუტატს დაენიშნოს წელიწადში 3000 მანეთი. პირველი საჭიროებისთვის ფული 1-ს დეკემბრამდე უნდა მოკრებულიყო, მაგრამ აგერ დეკემბრის შუამდე მივალთ და ფულის მოკრება ჯერ სად არის! მეორე ჯამის შეკრება უფრო შემდეგ დროისთვის იყო გადადებული, მაგრამ ვაი, თუ იმასაც იგივე სიგვიანის ბედი ეწიოს და გამართლდეს ბ-ნ მეუნარგიას ნაწინასწარმეტყველევი: ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, როცა ფულის მოკრების ჟამი დადგება, ფულის გამოღება ყველას ჟამივით შესძულდებაო. აქავე გამოითქვა აზრი, რომ ვისმეს მინდობოდა იმ სამოცის ათასის მანეთის ხაზინიდამ მოთხოვნა, რომელიც სამეგრელის თავად-აზნაურობას გლეხების განთავისუფლებისთვის უნდა მიეცეს და რომელიც მას თავის დედათა განათლებისთვის აქვთ გადადებული. ამის შესახებ ზრუნვა წინამძღოლის ქაღალდით ნაფიცს მსაჯულს ლ. ლოლუას მიენდო. თავად-აზნაურობას ამ ფულის მოხმარება ისევ სწავლა-განათლებისათვის უნდა, თუ ოდესმე ეღირსენ იმისს ხელში ჩაგდებას.

კრებას დიდი იმედი ჰქონდა, რომ სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა გარდაწყვეტილებას მიიღებდენ ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურნიც. მათ 25-ს ნოემბერს ჰქონდათ კრება და ჯერ არ ვიცით, რა თვალით შეჰხედეს ამ გარდაწყვეტილებას. საიმედოა, რომ ესეთი საჭირო საგნების შესახებ ისინი სრული თანახმანი იქმნებიან თავიანთ მოძმეებისა. კინაღამ დამავიწყდა ერთი საინტერესო საგანი: მოგეხსენებათ, რომ ლუკმა პურის შოვნისთვის ბევრს საშვალებას წაავლებს ხოლმე კაცი ხელს და აქაურის საბუთებიის საქმეც ერთი კაი ტკბილი ლუკმაა იმათთვის, ვისაც „პროშენიებისა“ და საქმის ქაღალდების კეთების ხმა აქვს დავარდნილი. ასეთი კაცები გააკეთებენ საქმეს თუ არა, კარგად დასწერენ, თუ ავად, მაინც მოჰკიდებენ ხელს ამა, თუ იმა თავადის და აზნაურის საბუთებს სათარგმნად და ქაღალდების საწერად. რადგანაც ყველა დამწერი და მთარგმნელი ერთნაირად კარგი და სინიდისიერი არ არის, შეიძლება, რომ ბევრის საბუთი წახდეს და ბევრი ქაღალდი ურიგოდ დაიწეროს. ამის წამლად ის აზრი წარმოადგინა თ. ნიკო ტარიელის ძემ დადიანმა, რომ დანიშნულიყო კანტორა მთარგმნელთა და ქაღალდების შემდგენელთა და ამ კანტორის ხარჯი თავად-აზნაურობას ეკისრნა, მაგრამ, რადგანაც ასეთს კანტორას დიდი ხარჯი სჭირდებოდა, კრებამ უარი განაცხადა, თუმცა, ჩემის აზრით, ასეთის კანტორის დაარსება მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ საშუალება ყოფილიყო, და სასარგებლო იქნებოდა განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ან ნათესავი და ან ნაცნობი მუქთად არ გადაუთარგმნის და არ შეუდგენს ყველა საჭირო ქაღალდებს... ასე და ამ გვარად სამეგრელოს თავად-აზნაურნი დიდს ფაცაფუცში არიან, რომ დრო არ გამოეპაროთ ხელში და ხუთი წელიწადი, რომლის ნახევარი აგერ ლამის გავიდეს კიდეც სარგებლიანად მოიხმარონ. ღმერთმა ინებოს, რომ ფონს ადვილად გასულიყვნენ.

ს. ყიფიანი

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქობლიანი** (ახალციხის მაზრა): ქობლიანს უძახიან ახალციხის მაზრის დასავლეთს ნაწილს. ქობლიანში ორი სოფლის საზოგადოებაა—ადიგენისა და უდისა. მცხოვრებლები ადიგენის საზოგადოებაში მთლად ქართველნი მაჰმადიანნი არიან, უდისაში-კი ნახევარი ქართველ-კათოლიკენი არიან, ნახევარი მაჰმადიანნი. ქობლიანში ორი სახალხო სასწავლებელია, სოფ. ადიგენში ორ-კლასიანი და სოფ. უდეში ერთ-კლასიანი. ზოგიერთ სოფელში მეჩეთებთან სამრევლო სკოლებიც არის, სადაც მაჰმადიანთ ყმაწვილები თუთიყუშებივით თათრულსა და არაბულს კითხვას გარდა, არასფერს სწავლობენ. მთელს ქობლიანში შესანიშნავი სოფელი უდეა.

ამ სოფელს ძველად „დიდი მეიდანი“ ჰრქმევია, აქაურები ამბობენ, რომ უდე ქალაქი ყოფილაო. აქ არსებობს ერთი ციხე, ორი ეკკლესია, სადაც წირვა-ლოცვა სრულდება და ხუთიც ნასაყდრევი. აქა-იქ ნანგრევი ქვითკირის შენობაც არის, ათასში ერთხელ ამ ნანგრევებში მცხოვრებლები პოულობენ თიხის ჰურებსა და ჯამებს. ხალხის გარდმოცემით ეს სოფელი პირველად ყიზილბაშებს ეცხოვრებიათ, შემდეგში ჯინუეზები (გენუელები) მოსულან და ვაჭრობა უწარმოებიათ. უდეში ორი წილი მეტი კათოლიკენი სცხოვრობენ (200 კომლამდე) და რამდენიმე კომლიც მაჰმადიანნი. ცხრა წელიწადია, რაც უდეში საერო სკოლა დაარსდა და დიდი სარგებლობაც მოუტანა ხალხს: უწინ, ვიდრე სკოლა დაარსდებოდა, 20 კაცს ძლივ სცოდნია ქართული წერა-კითხვა, ახლა-კი თითქმის კომლზე ერთმა კაცმა მაინც იცის. მოსწავლეთა რიცხვი ამ სასწავლებელში თანდათან მატულობს, ამ ჟამად სასწავლებელში 76 შეგირდია. ეროვნებით მთლად ქართველთ ტომისანი არიან, სარწმუნოებით—კათოლიკენი, წოდებით 3 მოქალაქეა და 73 გლეხის შვილნი. სამწუხარო ისაა, რომ შეგირდები ცხრა თვეს წაფლად (მეხრეთ) მიდიან, მარტის პირველიდამ გიორგობის დამლევამდე. ზოგი წაფლად სხვას უდგება 10—20 მანეთად. მაჰმადიანთ არ მოჰყავთ თავიანთი შვილები სკოლაში. ამის მიზეზი ფანატიკოსობაა. სულ ორმა მაჰმადიანმა, გვარად ლორთქიფანიძეებმა დაასრულეს სწავლა ამ სასწავლებელში. რომ ჰკითხო მაჰმადიანს, რატომ არა ჰგზავნი შვილს სკოლაშიო, გიპასუხებს: „ჯერ ჩემი შვილი პატარაა, მოლასთან კითხულობს, მერე ჩემთვის არის საჭიროო. ალბად სწავლა კარგია, კაცმა რამდენი ენაც იცოდეს, იმდენი უფრო კარგიაო. სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ ხალხი ძლიერ ეტანება ქართულ წიგნების კითხვას, თუკი იშოვა სადმე წიგნი. სამწუხაროდ, აქეთკენ ძლიერ ნაკლებად მოიპოვება ქართული წიგნები.

ამ ოთხის თვის წინად აუკრძალეს აქ კათოლიკეთ ეკკლესიებში ქართული გალობა წირვა-ლოცვის დროს. ამის გამო ხალხი ძლიერ სწუხს, რადგან სომხური ენა არ ესმით. ამის გამოც ეკკლესიაშიც მლოცავნი ნაკლებად დაიარებიან. ძნელია, თუ ამისთანა ხალხს გრძნობა სარწმუნოებისა შეუსუსტდა. მისი ნუგეში და იმედი ხომ მარტო ღმერთი და ღვთის ვედრებაა!

ი. პაატაშვილი

---

## წერილი საინგილოდგან

ზაქათალის მაზრის ქართველები, მეტადრე მაჰმადიანები, იმ აზრისანი ვართ, რომ ქართლ-კახეთის ქართველებს უეჭველად უნდა უყვარდეთ ხანგრძლივი დილის ძილი, რადგანაც დილაობით იმათში ყოველთვის მყუდროებაა, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ კვირაში ერთხელ ცისკარზე ზარის დარეკას. ჩვენ-კი სულ სხვა გარემოებაში ვიმყოფებით: დააპირებს თუ არა ღამე გაპარვას და მტრედის ფერად ირაჟრაჟებს, მაშინვე ჩვენი მუყაითი მოლლები მორთავენ ხმამაღლა „აზანის“ ყვირილს, იმის ნიშნად, რომ დრო არს დავუტოვოთ საწოლი და შევუდგეთ ალლახისა და თეჰამბარ მაჰმედის ქებასა და დიდების მეტყველებასაო. საჩქაროდ ვუტოვებთ სარეცელთა ჩვენთა და გამოვდივართ მდინარეებსა ანუ ბულაყებზე „ნამაზის“ ასაღებად, მაგრამ, დახე ჩვენთა დაცემულობასა და გარყვნილობას! ვიდრე აღვასრულებდეთ ამ წმიდა საქმეს და განბანილნი შევუდგებოდეთ ჯუმაში ლოცვას, გვესმის, რომ წარსულს ღამეს მავანს თივა დაუწვეს, მავანს სახლები გადუბუგეს, მავანისთვის დაუპარავთ კამეჩები, მავანის სახლიდგან ჩალთუკი წაუღიათ, მავანის წისქვილი გაუტეხიათ და სხ.-და-სხ. არ იქნა, ვე-რა გვეშველა-რა და ეს ოხერი ავკაცობა, ქურდობა ვერ ავიცილეთ თავიდამ. ესაა ჩვენი დამღუპავი და კერაზე ცეცხლის გამნელებელი, ამან წაგვიღო და გაგვაჩანაგა სრულიად. აღარავის აღარა გვაქვს გული დაჯერებული, რომ დღევანდელს დღეს ნაშოვნი და მოპებული ქონება ხვალაც ჩვენი იქნება და ამის გამო სარჩოს შოვნა-შეძენაზე ყველას გული გვაქვს აყრილი. სხვა უჩვენოს ჩვენს ალაგას ოქროს სვეტიანი დარბაზები ედგმებოდა, მაგრამ ამ ამოსავარდნელ ქურდობის გამო ყველანი ბოგანო ღარიბ-ღატაკნი გავმხდარვართ. დღენი ჩვენი მოვდივართ და მოვტირით და ქურდობა-ავაზაკობას ვერ გადვურჩით. მერე ამ გვარი ქურდობა რომ არსად გაგონილა და ადამიანს არ უნახავს!

აი, ბატონო, თქვენ დაკარგეთ თქვენი ცხოვრების უმთავრესი სახსარი—უღელი კამეჩი. რასაკვირველია, ყოველსავე ღონის-ძიებასა ხმარობთ და გწადიანთ, როგორმე იპოვნოთ დანაკარგი; ამ მთას ეცემით, იმ მთას ეხლებით, ქვეყანას აჯერებთ, მაგრამ ვერასა ხდებით და დაკარგულ საქონლის კვალი ვერ გიპოვნიათ. როდესაც სრულს იმედსა ჰკარგავთ და სასოწარკვეთილებას ეძლევით დანაკარგის პოვნის შესახებ, მოდის თქვენთან თქვენივე მეზობელი ანუ ახლო სოფლის მცხოვრებელი ვინმე ორუჯა ჰაჯი ბალაიოღლი და გეუბნებათ: თუ ამდენსა და ამდენს მომცემთ საპოვნელაში, ხვალ დილით თქვენს კამეჩებს თქვენს ეზოში მოგგვრითო. რადგანაც დაკარგული საქონელი თქვენთვის ძალიან ძვირფასია, ამისთვის ჯანსა და ღონეს იგდებინებთ, რის ვაი ვაგლახითაც არის შოულობთ ფულსა და იბრუნებთ თქვენს დანაკარგს. დამშვიდებულის გულით ისევ ქედ-მოხრილი ეწევით ცხოვრების უღელს, მაგრამ აგერ კვლავ გეწვიათ უბედურობა და ისევ მოგპარეს კამეჩები! ხელ-ახლა თავს ანებებთ ოჯახში მუშაობას, აქეთ მიდიხართ, იქით მიდიხართ, ეძებთ, კითხულობთ, მაგრამ, სულ ამაოდ; გულდაწყვეტილი ბრუნდებით დაობლებულს სახლში. აგერ შემდეგ რამდენისამე დღისა მოდის თქვენთან ისევ თქვენი კარის მეზობელი, ვთქვათ, ყასუმ არზუმანოღლი და გეუბნებათ: მომეც ამდენი და ამდენი თეთრი და შენს კამეჩებს გაპოვნინებო. მეტი ჩარა არა გაქვთ, ტანთაც იკლებთ, ყოველს გაჭირებასაც იყენებთ, შოულობთ ფულსა და მეორედ ჰყიდულობთ თქვენს საკუთარს საქონელს. ასე თითო სული საქონელი თითქმის თავის წონა თეთრი გიჯდებათ. ნამდვილი და გატეხილი უნდა მოგახსენოთ, ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ხელობად გაგვიხდია, როგორც მაჰმადიანებს, ისე ქრისტიანებს.

იქნება არ დაიჯეროთ, მაგრამ სრულს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, თუ სოფელში სამასი კომლი სცხოვრობს, იმათში ორას ოთხმოც-და-ხუთი კომლი უეჭველად ქურდობს და ავაზაკობს. ისე ღამე არ გაივლის, რომ თითოეულს სოფელში რამდენიმე ქურდობა არ მოხდეს. ჩვენ შეგვიძლიან, წარმოვადგინოთ ყოველთვიური სია სხვა-და-სხვა სოფელს მომხდარ ქურდობისა, მაგრამ, რადგანაც ეს ალიან შორს წაგვიყვანს, შედეგისთვის დავსტოვებთ და ეხლა ჩამოვთვლით მხოლოდ იმას, თუ რამდენი შემთხვევა ყოფილა ქურდობისა წარსულ ღვინობისთვის ჩვიდმეტის დღის განმავლობაში სოფ. ალიბეგლოში: 1) კონსტანტინე ასლამაზიშვილს მოჰპარეს სამი თალარი ჩალთუკი, 2) ივანე ასლამაზიშვილს—ერთი ხარი, 3) ისევ კონსტ. ასლამაზიშვილს—ორი ცხვარი, 4) ისევ ივ. ასლამაზიშვილს დაუწვეს ერთი ძირი თივა, 5) გიორგი ჭაჭაშვილს მოჰპარეს ერთი ძროხა, 6) ალექსანდრე მურადაშვილს ორი თალარი ჩალთუკი, 7) მიხეილ ასლამაზიშვილს—ორი თალარი ფეტვი, 8) გიორგი ტილკავიშვილს—ერთი თალარი ჩალთუკი, 9) ხუციშვილის ქვრივს მართას—ორი ხბო, 10) მიხეილ ჯანაშვილს—ერთი თხა, 11) ივ. ასლამაზიშვილს მოუკლეს გომურში ერთი ძროხა, 12) დიმიტრი ყიყვიშვილს მოჰპარეს ერთი ძროხა, 13) მაქსიმ ასლამაზიშვილს—ერთი ცხვარი, 14) პეტრე ჯანაშვილს—ორი ცხვარი, 15) ვასილ ჯანაშვილს—ერთი კამეჩი, 16) ვასილ ჭაჭაშვილს—ერთი ხარი 17) ზაქარია ასლამაზიშვილს—ერთი ხარი და სხ. და სხ. უბედურობა კიდევ ისაა, რომ ქურდებს ყველანი ვიცნობთ, მაგრამ შიშის გამო ხმა ვერ ამოგვიღია და ხელი ვერ გაგვინძრევია მათდა ასალაგმად. ჩვენ ბევრჯელ ვსცადეთ, მიგვეცა ქურდები სამართლის მცველთა ხელში, მაგრამ ეს დალოცვილები ქურდებს ერთობ რბილად და გულ-მტკივნეულად ექცევიან; სულ დიდი სასჯელი ქურდებისთვის მომეტებულ ნაწილად არის ორის, ან სამის დღით დატუსაღება თბილს სატუსაღოში; შემდეგში ქურდი თავისუფლდება და ვაი იმისი ბრალი, ვინც იგი დააჭირინა: აღარც სახლს, აღარც თივას, აღარც საქონელს აღარ უზოგავს და თვით სიცოცხლის მოსპობასაც უქადის. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ თუმცა ქურდებს ყველანი დაწვრილებით ვიცნობთ, მაგრამ მაინც ხმა ვერ გაგვიცია მათთვის და ისინიც ამის გამო ძალიან თავ-გასულნი და გათამამებულნი შეიქნენ. თუ შემდეგისთვინაცაა მთავრობამ არ მოიშალა თავისი გულ-ჩვილობა და ცოტაოდნად სასტიკად არ მოეპრო ჩვენ მძარცველ-მგლეჯელთ, ყელამდის დავტყავდებით და ისეთს შევიწროებაში ჩავცვივით, რომ სახელმწიფო ხარკის გაღებაც აღარ შეგვეძლება. ჩვენი ქონება დანაკარგ საქონლის უკანვე გამოყიდვას უნდება). წარსულის წლის განმავლობაში ამ გვარს საქმეზე მარტო ერთს სოფელს დაეხარჯა სამას ორმოც-და-ათი თუმანი ნაღდი ფული. თქვენ წარმოიდგინეთ, რაღა სიკეთე უნდა შეეძლოს ამ გვარად დაზიანებულს სოფელს! ამ გვარს ცეცხლში ვიწვით, ვიდაგვით და „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!“

ჩხოკეთელი

---

# რუსეთი

„Рус. Ж.“ ამბობს, რომ გამოჩენილი მეცნიერი-ელექტროტეხნიკი ედისონი რუსეთში უკვე გამოემგზავრაო. პეტერბურგში ედისონი მეოთხე ელექტრონიურს გამოფენაზედ მოხსენებას წაიკითხავს მის მიერვე ახალ და საყურადღებო გამოგონების შესახებაო.

—გაზ. „Нов. Вр.“ ამბობს, რომ რუსეთის ყველა საკომერციო ბანკმა მოახსენა მთავრობას, დამშეულთა სასარგებლოდ სალატარიო ბილეთებს გავყიდით და ამ საქმისთვის საკომისიო ჯილდოს არა ვთხოულობთო.

—„პეტ. ვედომ.“ გაუგია, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს, მომავალს წელს თანხა დააარსოს ფულის სასესხებლად ბესარაბიის ღვინის მწარმოებელთათვის. სამინისტრო იმედოვნებს, რომ ამ საშუალებით ბოლო მოუღოს ვენახების პატრონების ხელ-მოკლეობას, რომელნიც იძულებულნი არიან ფულიანს კაცებს დაუყენებელი ღვინო მიჰყიდონ ხოლმე. მთავრობას უნდა, ამ განკარგულებით შეძლება მისცეს ღვინის მრეწველთ, რომ უფრო უკეთესი ღვინო დააყენონო.

—„გრაჟდანინი“ სწერს: „საერო განათლების სამინისტრო შეუდგა ახალის კანონ-პროექტის შემუშავებას იმის შესახებ, რომ სამოქალაქო სასწავლებლებში შემოღებულ იქმნას ჰრა-კერვის, დურგლობის, მჭედლობის და მეჩექმეობის ხელობის სწავლებაო.

—ჩრდილო ამერიკაში თოფის-წამლის და დინამიტის აფეთქებით განგებ წვიმის მოყვანის საქმემ ამ ჟამად რუ-

სეთის სახელმწიფოსი ჲ საზოგადო დაწესებულებათა ყურადღებაც მიიქცია. ამავე საქმეს დიდი ყურადღება მიაქციეს შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებმა. ამ მოკლე ხანში პეტერბურგში სოფლის მემამულეთა კრებაზედ მოხსენებას წაიკითხავს წვიმის განგებ მოყვანის შესახებ ახალ-გაზდა მეცნიერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის მეტეოროლოგიის პროფესორის თანაშემწე ბ-ნი ბარანოვსკი.

— სიმფეროპოლის თეატრში შემდეგი ამბავი მომხდარა. წარმოდგენის დროს თეატრში ერთი მოხუცი დედაკაცი შესულა და მეექვსე რიგის სკამზედ მჯდომ ხნიან კაცისთვის მუხლებში ჩაუდვია კარგა მოზრდილი ბოხჩა და საჩქაროდ გასულა თეატრიდგან. გაოცებულს ხნიანს კაცს ჯერ რაღაცა უნდა ეთქვა დედაკაცისთვის, მაგრამ მალე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და ბოხჩით ხელში ისიც საჩქაროდ გამოვიდა თეატრიდგან. ბოხჩაში გახვეული ახლად დაბადებული ბავშვი ყოფილა ამ კაცის თავ-განებებულ სატრფოსგან გამოგზავნილი.

პეტერბურგის ბირჟა, 10 დეკემბერი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 09 | 8, 12 | — ,, |
| ტფილისის კუპონები . | 162 | 163 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 19 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 239¾ |
| — მეორისა . . . . | 220½ | — ,, | — ,, |
| — მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | 199 | — ,, | 201¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

# განცხადებანი


**ქალაქ ქუთაისში**, საფიჩხიაზედ, სალორიის დაჩაში, ძველის ზასტავის ახლოს, ახალის ეკკლესიის მახლობლად, ისყიდება **სამოსახლო და საყანე-საბაღე ადგილი**, ზომით ორი ათას ოთხას ოთხმოცი კვადრატის საჟენი, საჟენი-მანეთად. მამული ეკუთვნის დავით იასეს ძეს შვილს ბერუჩაშვილსა. (3—2)

**„ქართველთა ამხანაგობის“**
წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) „ 40 კ.
კედლის კალენდარი 1892 წლისა . . . . . . „ 40 კ.
თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი . . . 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით . . . 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა ჲ ვაქსიმილეთი . . . . . „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . . „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . „ 30 კ.
იგივე ყდით . . . . . „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . . „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . . „ 20 კ.
„წყალობა“ — მისივე . „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . . „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . . „ 15 კ.
„ცდა“ III წ. . . . . „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.
საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე. „ 80 კ.
ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთის გამოცემა . „ 30 კ.

**„წერა-კითხვის საზოგადოების“**
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძასა და ი. მაჩაბლისა . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკკლესიო ისტორია მისივე . . . . . . | „ | 45 |
| იავნანამ რა ჰქნა? საყმაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. . . . | „ | 10 |
| საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზაალიშვილისა. . . . . . | „ | 20 |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე . . . | „ | 25 |

**ა. რალლე და ამხ.**
მოსკოვში
სასახლის იჯარადარი
ა. რალლეს და ამხ.
ფაბრიკის მიერ განსაკუთრებით გაკეთებულნი და გამოგონილნი:
ხავერდის პუდრა
ფერადი საპონი გლიცერინისა
კვერცხის საპონი
ყვავილებით დაწმენდილი ო-დე-კოლონი
ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა (5—3)
ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 18 მარტის №-87 №-ში

Z—BOUQUET. ‖ Z—დუხი.
ახალი, მეტად ძვირფასი, მაგრამ მეტად მშვენიერი დუხია
**რ. კელერისა და ამხ. ქარხანსა მოსკოვში**
უნდა გამოიწეროთ როგორც რუსეთის პარფიმერიის საუკეთესო ნიმუში.
ყველა საუკეთესო მაღაზიაში ისყიდება ყველგან.
(5—0—4)

„სარპინიის ნაქსოვთა სამრეწველო ამხანაგობა“ სარატოვში
სეზონი 1892 წლისა—სარპინკა—სეზონი 1892 წლისა
ხელის საფეიქროსი, საკუთრად ამ ამხანაგობის ნაკეთობა პარიჟის უკანასკნელ მოდის ნიმუშების თანახმად.
ახალი—„**სარპინკა-რელიეფი**“—ნაქსოვი
ისყიდება მთელის ცალობითა და ადლობით, იგზვნება რუსეთის ყოველს ქალაქში. ნიმუშები საუცხოო ალბომით გაეგზავნება ყველას, ვინც 42 კაპ. წარმოადგენს ფოსტის მარკებით; მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ უნდა იყოს.
ადრესი: *Саратовъ—Товариществу Сарпинокъ.*
(10—5)

გრ. ჩარკვიანის სტამბასა და წიგნთ-საწყობში
ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი
**მაცი ხვიცია**
რომანი მეგრელთა ცხოვრებიდან
ანტონ ფურცელაძისა
წიგნი 342 გვერდია. ფასი 50 კაპ.
(5—2)

**დამზღვეველი საზოგადოება „რუსეთი“**
უმაღლესად დამტკიცებული 1881 წ.
პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, № 38.

ძირეული და სათადარიგო თანხა 15.000,000 მან. აქვს.

სიცოცხლის დაზღვევა
განსაკუთრებულის სასარგებლო პირობებით და ისე, რომ დამზღვეველი საზოგადოების მოგებაშიაც მონაწილეობას იღებს.

**დაზღვევა უბედურთა შემთხვევათაგან.**
შეუძლიან დაჰზღვევდნენ, როგორც კერძო კაცნი, ისე ერთად ფაბრიკის მუშანი და მოსამსახურენი.

**ცეცხლისაგან დაზღვევა**
ყოველგვარის უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

**გაგზავნილ საქონლის დაზღვევა**
მდინარესა, ხმელეთსა და ზღვაზედ გატანის დროს უბედურებისაგან.

დაზღვევის მსურველნი განცხადებას იღებენ ტფილისში, სავაჭრო სახლში ძმ. გოლდლიუსტებისა (ერევნის მოედანი, ზუბალოვის სახლი) და საზოგადოების სააგენტოებში რუსეთის სხვა ქალაქებში. ყოველივე პირობანი დაზღვევისა იგზავნება პეტერბურგს, საზოგადოების სამმართველოში.

მოგზაურთ რკინის გზითა და ხომალდებით მოგზაურობის დროს უბედურებისაგან დაზღვევის ბილეთების აღება შეუძლიანთ აგრეთვე რკინის გზის სადგურებზედ, ნავთსადგურებში და რუსეთის უმთავრესს სასტუმროებში.

სიცოცხლის და უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის წიგნაკები მსურველს მუქთად ეგზავნება. (4—1)


Дозв. ценз. Тифлисъ, 13-го Декабря 1891 г. სტამბა ძ. ძარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.